

F 133  
1937

საქართველოს  
საბჭოთავო  
საგარეო  
მინისტროს  
სამედიცინო  
სამსახური



საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის  
მუხათა და გლეხთა მთავრობის

# კანონთა და განკარგულებათა კრებული

2049

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს  
საქმეთა მმართველობის გამოსცემა

1937 წ. დეკემბრის 31.

№ 22

თბილისი.

## შ ი ნ ა ა რ ს ი

სახალხო მეურნეობის ხაერთო საკითხები.

158. ადგილობრივი მნიშვნელობის მქონე საწარმოთა და ორგანიზაციათა წლიური საბუ-  
ხალტრო ანგარიშებისა და ბალანსების დამ-  
ტკიცების წესის შესახებ.

159. საქართველოს სსრ საწარმოებისა და  
ორგანიზაციების მიერ დასკვნითი ბალანსების  
და მოგება-ზარალის ანგარიშების გამოქვეყნე-  
ბის წესის შესახებ.

160. 1938 წლისათვის სამეურნეო ხელშეკრუ-  
ლებათა დადების შესახებ.

ვაჭრობა მომარაგება.

161. 1937/1938 წლების საშემოდგომო-სა-  
ზამთრო ხე-ტყის დამზადების გეგმისა და მისი  
განხორციელების ღონისძიებათა შესახებ.

კომუნალური და საბინაო მეურნეობა.

162. ტრესტების „საქმომარაგების“ და „საქ-  
ტყემომარაგების“ ორგანიზაციის შესახებ.

განათლება.

163. საქართველოს სსრ სახელმწიფო წიგ-  
ნის პალატის დებულების დამტკიცების შესახებ.  
დებულება საქართველოს სსრ სახელმწიფო  
წიგნის პალატის შესახებ.

საქართველოს საბჭოთავო  
საგარეო მინისტროს  
სამედიცინო სამსახური

## სახალხო მეურნეობის სამართო საკითხები

### 158. დადგენილება ს.კ.ს.

ადგილობრივი მნიშვნელობის მქონე საწარმოთა და ორგანიზაციათა წლიური საბუხშალტრო ანგარიშებისა და ბალანსების დამტკიცების წესის შესახებ.

სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს 1936 წლის 29 ივლისის დადგენილებებით დამტკიცებული „სახელმწიფო და კოოპერაციულ სამეურნეო ორგანოების და საწარმოების საბუხშალტრო ანგარიშებისა და ბალანსების დებულებების“ და ამ დებულების შეფარდების შესახებ სსრ კავშირის ფინანსთა სახალხო კომისარიატის მიერ გამოცემული ინსტრუქციის საფუძველზე, (სსრკ კან. კრ. 1936 წ. № 42, მუხ. 359 და 360), საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. სამეურნეო ანგარიშზე მყოფ რაიონული და საქალაქო მრეწველობის წამოწყებათა და კომუნალურ საწარმოთა წლიურ საბუხშალტრო ანგარიშებსა და ბალანსებს, დაამტკიცებენ რაიონული აღმასრულებელი კომიტეტების და საქალაქო საბჭოების თავმჯდომარეები, ან მათი დევალებით, სათანადო ადგილობრივი მრეწველობის განყოფილებათა და კომუნალურ განყოფილებათა გამგეები.

კომუნალურ განყოფილებათა წლიურ საბუხშალტრო ანგარიშებს და ბალანსებს იმ ხარჯებისა და ოპერაციებისა რასაც ეს განყოფილებები უშუალოდ ანხორციელებენ, და საწარმოო ფუნქციების მქონე ადგილობრივი მრეწველობის წლიურ ანგარიშებს და ბალანსებს დაამტკიცებს უშუალოდ რაიონული აღმასრულებელი კომიტეტის ან საქალაქო საბჭოს თავმჯდომარე და მათი დამტკიცება არ შეიძლება მიენდოს თვით განყოფილებებს.

2. სარეწაო, ინვალიდთა და მონადირეთა კოოპერაციის ადგილობრივი ორგანიზაციების წლიურ საბუხშალტრო ანგარიშებს და ბალანსებს, აგრეთვე კოოპერაციის რაიონული კავშირებისა და სხვა რაიონული ცენტრების წლიურ ანგარიშებს და ბალანსებს საკუთარ მეურნეობათა მიხედვით დაამტკიცებენ კოოპერაციის სათანადო რესპუბლიკური ცენტრები.

სამომხმარებლო კოოპერაციის ადგილობრივ ორგანიზაციათა წლიურ საბუხშალტრო ანგარიშებსა და ბალანსებს დაამტკიცებენ სამომხმარებლო კოოპერაციის საქალაქო ან რაიონული ცენტრის თავმჯდომარეები.

3. ადგილობრივი საფინანსო ორგანოები ადგილობრივი მნიშვნელობის საწარმოთა და ორგანიზაციათა წლიურ საბუხშალტრო ანგარიშების და ბალანსების განხილვაში მონაწილეობას იღებენ იმ წესით, რაც გათვალისწინებულია სახელმწიფო და კოოპერაციული სამეურნეო ორგანოთა და საწარმოთა საბუხშალტრო ანგარიშების და ბალანსების დებულების 6 და 7 მუხლებით და სსრ კავშირის ფინანსთა სახალხო კომისარიატის ინსტრუქციის მე-6 მუხლით, რომლებიც დამტკიცებულია სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს 1936 წლის 29 ივლისის დადგენილებებით (სსრკ კან. კრ. 1936 წ. № 42, მუხ. 359 და 360).

4. სარეწაო, ინვალიდთა და მონადირეთა კოოპერაციის ადგილობრივი ორგანიზაციების წლიურ ანგარიშებსა და ბალანსებზე, აგრეთვე თვით რაიონული ცენტრების წლიურ ანგარიშებსა და ბალანსებზე არსებულ შეუთანხმებლობას გადასწყვეტს სათანადო რესპუბლიკური ცენტრი საქართველოს სსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატის მონაწილეობით, ადგილობრივ საფინანსო ორგანოების დასკვნების გათვალისწინებით. იმ შემთხვევაში თუ არ იქნა მიღწეული შეთანხმება სათანადო რესპუბლიკურ ცენტრსა და ფინანსთა სახალხო კომისარიატს შორის, საკითხი გადასაქრელად გადაეცემა საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს.

შეუთანხმებლობას წლიურ ანგარიშებსა და ბალანსებზე საფინანსო ორგანოებსა და სამომხმარებლო კოოპერაციის რაიონულ ცენტრებს შორის გადასკრის რაიონული აღმასრულებელი კომიტეტის ან საქალაქო საბჭოს თავმჯდომარე.

5. ნაკრებ წლიურ საბუხჰალტრო ანგარიშებსა და ბალანსებს, დამტკიცებული წლიური საბუხჰალტრო ანგარიშებისა და ბალანსების საფუძველზე, სახელმწიფო და კოოპერაციულ სამეურნეო ორგანოთა და საწარმოთა საბუხჰალტრო ანგარიშებისა და ბალანსების დებულებით დაწესებულ ვადებზე, შეიღვენენ:

ა) რაიონული და საქალაქო მრეწველობის ხაზით—ადგილობრივი მრეწველობის განყოფილებები და მრეწველობის ცალკეული დარგების მიხედვით წარუდგენენ კუთვნილებისამებრ ადგილობრივი, მსუბუქი, კვების და სატყეო მრეწველობის სახალხო კომისარიატებს, ადგილობრივ საფინანსო განყოფილებას (ორ ცალად), სახალხო-სამეურნეო აღრიცხვის სამმართველოს ადგილობრივ განყოფილებას და დამფინანსებელი ბანკის განყოფილებას, ხოლო მთლიანად მთელი რაიონული და საქალაქო მრეწველობის ხაზით—სათანადო რაიონულ აღმასრულებელ კომიტეტს ან საქალაქო საბჭოს და ადგილობრივ საფინანსო განყოფილებას (ორ ცალად);

ბ) კომუნალური მეურნეობის ხაზით (როგორც საწარმოების ისე კომუნალური განყოფილებების მიხედვით)—კომუნალური განყოფილებანი და წარუდგენენ კომუნალური მეურნეობის სახალხო კომისარიატს, ადგილობრივ საფინანსო განყოფილებას (ორ ცალად), სახალხო სამეურნეო აღრიცხვის სამმართველოს ადგილობრივ განყოფილებას და კომუნალურ ბანკს;

გ) სამომხმარებლო კოოპერაციის საწარმოებისა და ორგანიზაციების ხაზით-სამომხმარებლო კოოპერაციის სათანადო რაიონული ან საქალაქო ცენტრები და წარუდგენენ სათანადო რესპუბლიკურ ცენტრს, ადგილობრივ საფინანსო განყოფილებას (ორ ცალად), სახალხო-სამეურნეო აღრიცხვის სამმართველოს ადგილობრივ განყოფილებას და დამფინანსებელი ბანკის განყოფილებას.

6. იმ რაიონებსა და ქალაქებში, სადაც ადგილობრივი მრეწველობის განყოფილებები და კომუნალური განყოფილებები არ არსებობენ, ნაკრებ წლიურ ანგარიშებს და ბალანსებს როგორც დარგებზე, ისე მთლიანად მთელი რაიონული

ლი მრეწველობისა და კომუნალური მეურნეობის მიხედვით შეადგენს და წარუდგენს სათანადო ორგანიზაციებს რაიონული აღმასრულებელი კომიტეტის და საქალაქო საბჭოს აპარატი, რაიონული აღმასრულებელი კომიტეტის და საქალაქო საბჭოს თავმჯდომარის მითითებებით.

საქ. სსრ ს.კ.ს.-ის თავმჯდომარე ვ. ზაქრაძე.

საქ. სსრ ს.კ.ს.-ის საქმეთა მმართველის მ.დ.ა. რ. ჭელიძე.

1937 წ. დეკემბრის 28. № 1555.

თბილისი.

### 159. დადგენილება ს.კ.ს.

საქართველოს ხსრ საწარმოებისა და ორგანიზაციების მიერ დასკვნითი ბალანსების და მოგება-ზარალის ანგარიშებს გამოქვეყნების წესის შესახებ.

სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს 1935 წლის 29 ივლისის დადგენილების შესაბამისად „სახელმწიფო და კოოპერაციული სამეურნეო ორგანოთა და საწარმოთა საბუხხალტრო ანგარიშებისა და ბალანსების შესახებ“ (სსრკ კან. კრ. 1936 წ. № 42, მუხ. 359), საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. დაევალოს რესპუბლიკური ქვემდებარეობის ყველა საწარმოსა და ორგანიზაციას, მათი წლიური ანგარიშების საბოლოოდ დამტკიცების მომენტიდან არაუგვიანეს ორი დეკადის ვადისა, გამოაქვეყნონ თავისი დასკვნითი ბალანსები და მოგება-ზარალის ანგარიშები გაზეთ „კომუნისტში“ ან „ზარია ვოსტოკაში“.

2. დაწესდეს, რომ ძირეული კოოპერაციული ორგანიზაციები და არტელეები შეიძლება განთავისუფლებულ იქნან დასკვნითი ბალანსებისა და მოგება-ზარალის ანგარიშების გამოქვეყნების მოვალეობისაგან თავისი რესპუბლიკური ცენტრის განსაკუთრებული დადგენილებებით, რაც შეთანხმებული უნდა იქნას საქართველოს სსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატთან.

3. ძირეული კოოპერაციული ორგანიზაციები და არტელეები, რომლებიც ამ დადგენილების მე-2 მუხლით დადგენილი წესით არ არიან განთავისუფლებული თავისი დასკვნითი ბალანსებისა და მოგება-ზარალის ანგარიშების გამოქვეყნების მოვალეობისაგან, აქვეყნებენ—ადგილობრივ ბეჭდვით ორგანოებში, ხოლო ქალაქ თბილისის და იმ რაიონების კოოპერაციული ორგანიზაციები და არტელეები, სადაც ადგილობრივი ბეჭდვითი ორგანოები არ არის, აქვეყნებენ მათ გაზეთ „კომუნისტში“ და „ზარია ვოსტოკაში“.

4. დაევალოს საქართველოს სსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატს თვალყური ადევნოს ამ დადგენილების შესრულებას.

საქ. სსრ ს.კ.ს.-ის თავმჯდომარე ვ. ზაქრაძე.

საქ. სსრ ს.კ.ს.-ის საქმეთა მმართველის მ.დ.ა. რ. ჭელიძე.

1937 წ. დეკემბრის 28. № 1554.

თბილისი.

## 160. დადგენილება ს.ძ.ს.

1938 წლისათვის სამეურნეო ხელშეკრულებათა დადების შესახებ.

აღნიშნავს რა სამეურნეო ხელშეკრულებათა დადების სრულიად არადამაკმაყოფილებელ მიმდინარეობას და 1938 წლისათვის სამეურნეო ხელშეკრულებათა თავის დროზე დადების აუცილებლობას, საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. დაევალოს ადგილობრივი მრეწველობის, კომუნალური მეურნეობის, კვების მრეწველობის, მსუბუქი მრეწველობის და შინაავტომობის სახალხო კომისარიატებს, ცეკავშირს, სარეწაო კავშირს, კოოპინკავშირს, საქალაქო საბჭოებსა და რაიონულ აღმასრულებელ კომიტეტებს, აგრეთვე საქართველოს სსრ ყველა ცენტრალურ სამეურნეო ორგანიზაციასა და დაწესებულებებს დაუყოვნებლივ გაშალონ მუშაობა მათდამი დაქვემდებარებული დაწესებულებების, საწარმოებისა და ორგანიზაციების მიერ 1938 წლის სამეურნეო ხელშეკრულებათა დადებისათვის იმ ანგარიშით, რომ ყველა წლიური ხელშეკრულება ფართო მოხმარების საქონლის მიწოდებაზე დადებულ იქნას არაუგვიანეს 1938 წლის 1 იანვრისა; დანარჩენი საქონლის მიწოდების შესახებ წლიურ ხელშეკრულებათა დადებას შეუდგენენ, როდესაც ეს შესაძლებელია მატერიალური ბალანსებისა და მომარაგების გეგმების დამტკიცებამდე, ხოლო დანარჩენ შემთხვევებში უზრუნველყვნენ ხელშეკრულებათა დადება შესაძლო მოკლე ვადაში ამ ბალანსებისა და გეგმების დამტკიცების შემდეგ.

2. ფართო მოხმარების საქონლის მიწოდების შესახებ ხელშეკრულებათა დადების დროს, თუ ხელშეკრულებათა დადების მომენტისათვის არ იქნება დამტკიცებული ფართო მოხმარების საქონლის განაწილების გეგმები, განისაზღვროს ხელშეკრულებებში პირველ კვარტალში მიწოდების რაოდენობა და ასორტიმენტი 1937 წლის მე-IV კვარტალის ფონდების 100% ოდენობით, ხოლო სეზონურ დამზადებათა სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ხაზით—არანაკლებ 1937 წლის პირველი კვარტალის მიწოდების ოდენობის 100%-სა იმ ანგარიშით, რომ წლიური რაოდენობის გამორკვევის შემდეგ პირველი კვარტალის მიწოდების ოდენობა სათანადოდ იქნას დაზუსტებული.

3. პასუხისმგებლობა სამეურნეო ხელშეკრულებათა თავის დროზე და სწორად დადებისათვის დაეკისროს:

ა) აფხაზეთის და აჭარის, ავტონომიურ რესპუბლიკებსა და სამხრეთ-ოსეთის ავტონომიურ ოლქში—ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტების თავმჯდომარეებს;

ბ) რაიონებსა და ქალაქებში—საქალაქო საბჭოების და რაიონული აღმასრულებელი კომიტეტების თავმჯდომარეებს;

გ) რესპუბლიკური ქვემდებარეობის მეურნეობის დარგებში—სათანადო სახალხო კომისარებს და ცენტრალური სამეურნეო, სავაჭრო კოოპერაციული ორგანიზაციების ხელმძღვანელებს.

№ 121  
საქართველოს  
საბჭოთაო  
საგარეო  
აფაირთა  
საწარმო  
საგარეო  
საწარმო

4. წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს არსებულ მთავარ არბიტრს;

ა) ჩაატაროს სამეურნეო მუშაკთა თათბირები, რომლებზედაც მოისმინოს ანგარიშები 1938 წლისათვის სამეურნეო ხელშეკრულებათა დადების მიმდინარეობის შესახებ;

ბ) უზრუნველჰყოს წინასახელშეკრულებო დავის თავის დროზე განხილვა დადგენილი წესით;

გ) სისტემატური კონტროლი გაუწიოს საუწყებო არბიტრაჟების მუშაობას წინასახელშეკრულებო დავის განხილვის საქმეში;

დ) უზრუნველჰყოს, რათა თავის დროზე იქნას წარმოდგენილი სისტემატური ანგარიშგებანი სამეურნეო ხელშეკრულებათა მიმდინარეობის შესახებ.

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს თავმჯდომარე ვ. ბაქრაძე.

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს საქმეთა მმართველის მ.დ.ა. რ. ჭელიძე.

1937 წ. დეკემბრის 17. № 1474.  
თბილისი.

### ვაჭრობა, მომარაგება

#### 161. დადგენილება ს.კ.ს.

1937/1938 წლების საშემოდგომო საზამთრო ხე-ტყის დამზადების გეგმისა და მისი განხორციელების ღონისძიებათა შესახებ.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო აღნიშნავს, რომ საქ. სსრ სატყეო მრეწველობის სახალხო კომისარიატის მიერ ხე-ტყის დამზადების წლიური გეგმა 1937 წელს შესრულებულია დამზადების მხრივ მხოლოდ 84,1%-ით და გაზოზიდვის მხრივ 82,7%-ით (1937 წ. ნოემბრისათვ ის არსებული მდგომარეობის მიხედვით) სრულიად არაადამაკმაყოფილებლად მუშაობენ ჯალაბეთის სატყეო კომბინატი, ხეთის დამამზადებელი უბანი, კახეთის სატყეო-სამრეწველო მეურნეობა და აფხაზეთის, კიათურის და სალხინო-მარტვილის სატყეო მეურნეობები.

1937 წლის გეგმის არაადამაკმაყოფილებლად შესრულების ძირითად მიზეზად საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს მიაჩნია ის, რომ სატყეო მეურნეობის სახალხო კომისარიატი ჯერ კიდევ არასაკმაროდ მუშაობს სატყეო მეურნეობაში მავნებლობის შედეგების ლიკვიდაციისათვის; ადგილი აქვს მუშა ხელის დენადობას, სეზონური სამუშაო-საჭაპანო ძალის გამოუყენებლობას და ის რომ ხე-ტყის დამზადებაზე არ არსებობს სათანადო საბინაო და კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობები.

ითვალისწინებს რა, რომ მოსამზადებელი სამუშაოების დროულად რეზერვების და 1937 1938 წ. საშემოდგომო-საზამთრო ხე-ტყის დამზადების გეგმის შესრულებამ უნდა უზრუნველყოს 1938 წლის სამუშაოთა წარმატებით გაშლა, საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. 1937-1938 წლების შემოდგომა-ზამთრის სეზონისათვის (1937 წ. მე-IV კვარტალი და 1938 წლის 1 კვარტალი) ხე-ტყის ექსპლოატაციის გეგმები საქართველოს სსრ სატყეო მრეწველობის სახალხო კომისარიატის ხაზით დაწესდეს: დამზადების მხრივ 132,5 ათასი კუბ. მეტრი, აქედან საქმიანი მერქანი 57,5 ათასი კუბ. მეტრი, შეშა 75,0 ათასი კუბ. მეტრი და გამოზიდვის მხრივ — 141,0 ათასი კუბ. მეტრი, აქედან: საქმიანი მერქანი — 65,0 ათასი კუბ. მეტრი და შეშა — 76,0 ათასი კუბ. მეტრი.

2. 1937 წლის მე-IV კვარტალისა და 1938 წლის 1 კვარტალისათვის ხე-ტყის დამზადების და გამოზიდვის გეგმის განაწილება საქართველოს სსრ სატყეო მრეწველობის სახალხო კომისარიატის ცალკეულ საწარმოთა ხაზით დამტკიცდეს, თანახმად № 1 დანართისა.

3. 1937 წლის მე-IV კვარტალისა და 1938 წლის 1 კვარტალის ხე-ტყის მექანიზებული გამოზიდვის ოდენობა განისაზღვროს 99.400 ათასი კუბ. მეტრი მოცულობით შემდეგი განაწილებით კვარტალებისა, საწარმოებისა და გზების სახეების მიხედვით.

ა) ავტოგამოზიდვა	1937 წ. მე-IV კვარტალი	1938 წ. I ლი კვარტ.	სულ შემოდგომა- ზამთრის სეზონში
კახეთის სატყეო სამრეწვე. მეურნ.	10.910	7.000	17.910
თბილისის " " " . . .	2.204	14.000	16.204
ბორჯომის " " " . . .	4.800	4.000	8.800
ხაშურის " " " . . .	3.000	2.500	5.500
ქიათურის " " " . . .	1.000	1.000	2.000
სუხუმის " " " . . .	—	300	300
სულ . . . . .	21.918	28.800	50.718
ბ) სატრაქტორო			
ჯალაბეთის კომბინატი . . . . .	3.500	3.000	6.500
გ) ვიწროლიანდაგიანი გზით			
ხეთის მექანიკური პუნქტი . . . . .	24.700	17.500	12.200

4. წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ სატყეო მრეწველობის სახალხო კომისარიატს მექანიზებული პუნქტების შეუფერხებელი მუშაობის უზრუნველყოფის მიზნით, შეჰქმნას დასატვირთავ მოედნებზე მერქნის ოცი დღის გარდა-მავალი მარაგი.

1937 წ. 1 ოქტომბრისათვის არსებული ნაშთების რაოდენობის გათვალისწინებით დაწესდეს საწარმოებისა და სხვადასხვა სახის ტრანსპორტის მიხედვით მერქნის მიტანა შემდეგი მოცულობით:

ა) ტრაქტორებით	მთელ შემოდგომა- ზამთრის სეზონში	აქედან 1937 წ. მე-IV კვარტ.	1938 წ. I-ლ კვარტ.
კახეთის სატყეო-სამრეწვე. მეურნ.	5.700	1.700	4.000
თბილისის " " "	2.100	300	1.800
ჯალაბეთის " " "	1.200	—	1.200
სულ . . . . .	9.000	2.000	7.000
<b>ბ) საკუთარი ტრანსპორტით</b>			
კახეთის სატყეო-სამრეწვე. მეურნ. .	3.400	1.500	1.900
თბილისის " " "	1.200	500	700
ჯალაბეთის " " "	400	—	400
ხეთის " " "	3.200	1.500	1.700
სულ . . . . .	8.200	3.500	4.700
<b>გ) დაქირავებული ტრანსპორტით</b>			
კახეთის სატყეო-სამრეწვე. მეურნ. .	11.800	8.700	3.100
თბილისის " " "	13.300	1.800	11.500
ჯალაბეთის " " "	5.700	3.700	2.000
ბორჯომის " " "	10.000	5.500	4.500
ხაშურის " " "	6.000	3.500	2.500
ქიათურის " " "	2.000	1.000	1.000
აფხაზეთის " " "	300	—	300
ხეთის " " "	41.900	24.300	17.600
სულ . . . . .	91.000	48.500	42.500

დაევალოს საქართველოს სსრ სატყეო მრეწველობის სახალხო კომისარიატს 1937 წ. 10 დეკემბრამდე ჩაატაროს 8 ავტომანქანის, 2 ტრაქტორის, 2 ორთქლმავლის კაპიტალური რემონტი, 10 ცალი ავტომანქანის საშუალო რემონტი და 1937 წ. 10 დეკემბრისათვის დაამთავროს გარაჟების მშენებლობა ბორჯომისა და საჩხერის მექანიზებულ პუნქტებში.

5. იმისათვის, რათა უზრუნველყოფილ იქნან მექანიზებული პუნქტების მუდმივი მუშები საცხოვრებელი ბინებით, დაევალოს სატყეო მრეწველობის სახალხო კომისარიატს 1937 წ. 1 დეკემბრისათვის დაამთავროს საერთო საცხოვრებელი ბარაკების რემონტი და მოწყობა.

6. დაევალოს საქართველოს სსრ სატყეო მრეწველობის სახალხო კომისარიატს, საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს 1937 წ. 2 ოქტომბრის № 1019 დადგენილების საფუძველზე, უზრუნველყოს ორმხრივი და ინდივიდუალური ხელშეკრულებათა დადება, სამი დღის ვადაში, კოლმეურნეობებთან, კოლმეურნეებთან, ერთპიროვნულ მეურნეებთან და ხე-ტყის დამამზადებელ ორგანიზაციებს შორის, ამასთან დაუზავანოს მათ სსრ კავშირის სახკომსაბჭოს 1937 წ. 29 სექტემბრის № 1720 დადგენილებით დამტკიცებული ტიპური ხელშეკრულებანი.



7. დაევალოს საქართველოს სსრ სატყეო მრეწველობის სახალხო კომისარიატს 1938 წლის 1 იანვრისათვის უზრუნველჰყოს ხე-ტყის დამზადების მთლიანად გადაყვანა რაციონალიზებულ ინსტრუმენტებზე (რთულკბილა ხერხები—გაბმული და ბირდაბირი ხერხები—კროსკოდი).

8. საქართველოს სსრ სატყეო მრეწველობის სახალხო კომისარიატმა უზრუნველჰყოს ცალკე თვითიური მუშის ხვედრი ხელფასის აღრიცხვა და გაცემა, ნამუშევარი დღეების ფაქტიური რაოდენობის და პროდუქციის გამომუშავების მიხედვით ასეთივე წესით გაანაწილოს მუშებს შორის პროგრესიული წანამატი გამომუშავების ნორმების გადაჭარბებით შესრულებისათვის, სსრ კავშირის სახკომსაბჭოს 1937 წ. 29 სექტემბრის № 1720 დადგენილების მე-18 მუხლთან სრული შეფარდებით.

9. დაწესდეს 1938 წლის 1 იანვრიდან ხე-ტყის დამზადებაში ჩაბმულ მუდმივ მუშათა მუშაობის ხანგრძლივობისათვის წახალისების შემდეგი წესი:

ა) კვალიფიციურ მუშებს (ტრაქტორისტებს, შოფერებს, მემანქანებს, მოტორისტებს, მათ თანაშემწეებს, კონდუქტორებს, გადაამზებლებს, მედაზგეებს, ზეინკლებს, ხარატებს, მკედლებს, მეურნეებს, მეინსტრუმენტებს, ელექტრომონტიორებს, მტვირთავეებს, ტყის მჭრელებს, მზიდავეებს დამტვირთავეებსა და გადაამტვირთავეებს, რომლებიც განუწყვეტლივ მუშაობენ ხე-ტყის დამზადების საწარმოებში ერთ წელზე მეტს, ყოველთვიურად მიეცეს წანამატი მთელი ხელფასის 10% რაოდენობით და იმათ, ვისაც ორ წელზე მეტი უმუშავნია ხელფასის 20% რაოდენობით;

ბ) დანარჩენ მუდმივ მუშებს, რომლებმაც განუწყვეტლივ იმუშავეს ხე-ტყის დამამზადებელ საწარმოებში ერთ წელიწადზე მეტს ხანს, ყოველთვიურად მიეცეს წანამატი მთელი ხელფასის 5% რაოდენობით, ხოლო იმათ, ვინც ორ წელზე მეტი იმუშავა—მთელი ხელფასის 10%.

10. ნება დაერთოს საქართველოს სსრ სატყეო მრეწველობის სახალხო კომისარიატს დააჯილდოვოს სატყეო კომბინატების, სატყეო-სამრეწველო მეურნეობების და მექანიკური პუნქტების ადმინისტრაციული და საინჟინერო-სატექნიკო პერსონალი ხე-ტყის გამოზიდვის კვარტალური გეგმების მთლიანად გადაჭარბებით შესრულებისათვის და იმ პირობით, თუ გადაჭარბებით იქნა შესრულებული საქმიანი მერქნის გეგმა შემდეგი ანგარიშით:

ა) მექანიზებული სატყეო პუნქტების მიერ ხე-ტყის გამოზიდვის გეგმის გადაჭარბებით შესრულებისათვის—თვენახვერის განაკვეთი და ამას გარდა, თვიური განაკვეთის 5% გეგმის გადაჭარბებით შესრულების თვითიურ პროცენტში;

ბ) სატყეო კომბინატების, სატყეო სამრეწველო მეურნეობების და არამექანიზებული სატყეო პუნქტების მიერ ხე-ტყის გამოზიდვის გეგმის გადაჭარბებით შესრულებისათვის—თვიური განაკვეთი და ამას გარდა, გეგმის გადაჭარბებით შესრულების თვითიურ პროცენტში თვიური განაკვეთის 3%;

მექანიზებული პუნქტების, სატყეო სამრეწველო მეურნეობების და ნატების იმ მუშაკთა სიას, რომლებსაც ჯილდოს მიღების უფლება აქვთ, აწესებს საქართველოს სსრ სატყეო მრეწველობის სახალხო კომისარი.

11. სსრ კავშირის სახკომსაბჭოს 1937 წლის 29 სექტემბრის № 1720 დადგენილების შესაბამისად, დაწესდეს ერთსა და იმავე საწარმოში მუშაობის ხანგრძლივობისათვის ინჟენერთა და ტექნიკოსთა წახალისების შემდეგი წესი: ინჟენერებსა და ტექნიკოსებს, რომლებსაც განუწყვეტლივ უმუშავენიათ სატყეო-სამრეწველო მეურნეობებსა და მექანიზებულ სატყეო პუნქტებში 1936 წლის 1 იანვრიდან 2 წელზე მეტი, მიეცეს წანამატი თვიური ჯამაგირის 10 პროცენტის რაოდენობით. ყოველი შემდგომი ორი წლის მუშაობისათვის თვიური განაკვეთის წანამატი გადიდდეს დამატებით 5%.

12. მუშათა კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებისა და სეზონური მუშა ხელის დენადობის ლიკვიდაციის მიზნით, დაევალოს საქართველოს სსრ სატყეო მრეწველობის სახალხო კომისარიატს:

ა) 10 დეკემბრისათვის დაამთავროს მუშათა ბარაკების—საერთო საცხოვრებლების მშენებლობა, მოწყობა და რემონტი;

ბ) უზრუნველყოს საერთო საცხოვრებლები—ბარაკები გათბობით, განათებით, საკირო ინვენტარით და მოწყობილობით;

გ) დააყენოს საკითხი სსრ კავშირის სატყეო მრეწველობის სახალხო კომისარიატის წინაშე, რათა გაღებულ იქნას, 100,000 მანეთი, მუდმივი მუშათა ინდივიდუალური საბინაო მშენებლობის დასაკრედიტებლად და 25,0 ათასი მანეთი მუდმივი მუშებისათვის ძროხების შექენის დასაკრედიტებლად.

13. დაევალოს საქართველოს სსრ სატყეო მრეწველობის სახალხო კომისარიატს ამ დადგენილების საფუძველზე 5 დღის ვადაში მისცეს კონკრეტული მითითებანი ცალკეულ სამეურნეო ერთეულებს და თვალყური ადევნოს ამ მითითებათა ცხოვრებაში გატარებას.

დაევალოს შინაგაყვრობის სახალხო კომისარიატს 1937 წ. 5 ნოემბრამდე გამოჰყოს 100 წყვილი რეზინის ჩექმა დასაცურებელი პუნქტების მუშათა უზრუნველსაყოფად.

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს თავმჯდომარე ვ. ბაქრაძე.

საქ. სსრ ს.კ.ს-ის საქმეთა მმართველის მ.დ.ა. რ. ჰეღლიძე.

1937 წ. ნოემბრის 25. № 1243.

თბილისი.

## კომუნალური და საბინაო მეურნეობა

### 162. დადგენილება ს.კ.ს.

ტრესტების „საქმომარაგების“ და „საქტყემომარაგების“ ორგანიზაციის შესახებ.

იმ მიზნით, რომ მოგვარდეს საქართველოს სსრ-ში წარმოებისა და მშენებლობის ფონდირებული მასალებით მომარაგების საქმე, საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. საქართველოს სსრ კომუნალური მეურნეობის სახალხო კომისარიატთან არსებული ტრესტი „კომუნომარაგება“ რეორგანიზებულ იქნას რესპუბლიკურ ტრესტად- „საქმომარაგება“, რომელსაც დაეკისროს:

ა) საქართველოს სსრ კომუნალური მეურნეობის სახალხო კომისარიატის, განსახკომის, ჯანსახკომის, შინაგეპრობის სახალხო კომისარიატის, სოცუზრუნველყოფის სახალხო კომისარიატის, ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარიატის, აგრეთვე საქალაქო საბჭოებისა და რაიონმასკომების ობიექტთა მომარაგება, გარდა თბილისის საქალაქო საბჭოსი, ყოველგვარი სახის სამშენებლო და სხვა ფონდირებული მასალებით, ნედლეულითა და მოწყობილობით;

ბ) საკუთარი, დეცდამზადების, აგრეთვე იმ სამშენებლო მასალებს გასაღება, რომლებსაც ამზადებენ საქართველოს სსრ სარეწაო კოოპერაცია, კომუნალური საწარმოები და სხვა ორგანიზაციები, საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს მიერ დამტკიცებული გეგმების მიხედვით;

გ) სამშენებლო დამხმარე მასალების დეცენტრალიზებული დამზადების წარმოება.

2. ტრესტი „საქმომარაგება“ დატოვებულ იქნას საქართველოს სსრ კომუნალური მეურნეობის სახალხო კომისარიატის სისტემაში.

3. არსებულ დამამზადებელ-გამსაღებელი ორგანიზაციების—საქართველოს სსრ კომუნალური მეურნეობის სახალხო კომისარიატის „კომუნტყის“ და საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარიატის „საქმომარაგდამზადების“ ბაზაზე მოეწყოს ერთი ტრესტი „საქტყემომარაგება“, რომელსაც დაეკისროს:

ა) საქართველოს სსრ-ისათვის გამოყოფილი შთელი საფონდზე ხე-ტყის შემოზიდვა;

ბ) ხე-ტყის დეცენტრალიზებული დამზადების წარმოება;

გ) საფონდო და დეცენტრალიზებული წესით დამზადებული ხე-ტყის მასალის რეალიზაცია, თანახმად გეგმებისა, რომლებსაც დაამტკიცებს საქართველოს სსრ სახკომსაბჭო.

4. ტრესტი „საქტყემომარაგება“ დატოვებულ იქნას საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარიატის სისტემაში.

№ 22  
საქართველოს  
სსრკ-ის  
საგარეო  
კავშირების  
მინისტრის  
სამსახური

5. წინადადება მიეცეს ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისსარიატს, კომუნალური მეურნეობის სახალხო კომისარიატს და ტრესტების „საქმომარაგების“ და „საქტყემომარაგების“ დირექტორებს ხუთი დღის ვადაში წარმოუდგინონ განსახილველად საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს ტრესტების „საქმომარაგებისა“ და „საქტყემომარაგების“ სტრუქტურა, შტატები და დებულება.

6. დაევალოს საქართველოს სსრ ფინსახკომს ერთი დეკადის ვადაში წარმოუდგინოს საქ. სსრ სახკომსაბჭოს ტრესტების „საქმომარაგებისა“ და „საქტყემომარაგების“ საბრუნავი სახსრებით უზრუნველყოფის შესახები წინადადებანი.

საქ. სსრ ს.კ.ს.-ოს თავმჯდომარე გ. ბაქრაძე.

საქ. სსრ ს.კ.ს.-ოს საქმეთა მმართველის მ.დ.ა. რ. ქელიძე.

1937 წ. დეკემბრის 28. №. 1552.

თბილისი.

### გ ა ნ ა თ ლ ე ბ ა

#### 163. დადგენილება ს.კ.ს.

საქართველოს სსრ სახელმწიფო წიგნის პალატის დებულების დამტკიცების შესახებ.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. დამტკიცებულ იქნას საქართველოს სსრ სახელმწიფო წიგნის პალატის დებულება.

2. გაუქმებულ იქნას საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1924 წ. 26 აპრილის დადგენილებით დამტკიცებული „დებულება საქართველოს წიგნის პალატისა“ (საქ. სსრ კან. კრ. 1924 წ. № 1, მუხ. 15).

საქ. სსრ ს.კ.ს.-ოს თავმჯდომარე გ. ბაქრაძე.

საქ. სსრ ს.კ.ს.-ოს საქმეთა მმართველის მ.დ.ა. რ. ქელიძე.

1937 წ. დეკემბრის 28. № 1556.

თბილისი.

### დ ე ბ უ ლ ე ბ ა

საქართველოს სსრ სახელმწიფო წიგნის პალატის შესახებ.

#### I. საერთო დებულებანი.

1. საქართველოს სსრ სახელმწიფო წიგნის პალატა იმყოფება საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისარიატის გამგებლობაში და წარმოადგენს საქართველოს სსრ სახელმწიფო სარეგისტრაციო ბიბლიოგრაფიის რესპუბლიკურ ცენტრს.

საქართველოს სსრ სახელმწიფო წიგნის პალატა მუშაობს საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისარიატის მიერ დამტკიცებული გეგმებით.

2. საქართველოს სსრ სახელმწიფო წიგნის პალატის ამოცანებს შეადგენს:

ა) ბეჭდვითი სიტყვის, მთელი იმ პროდუქციის ბიბლიოგრაფიული აღრიცხვა და დამუშავება, რომელიც გამოდის საქართველოს სსრ-ში და მასში შემავალი ავტონომიური რესპუბლიკებისა და ავტონომიური ოლქის ტერიტორიაზე;

ბ) ფართო ბიბლიოგრაფიული ინფორმაციის მიწოდება ბიბლიოთეკებისა და მოსახლეობისათვის იმ ლიტერატურის შესახებ, რომელიც საქართველოს სსრ-ში გამოდის;

გ) გამოსული ლიტერატურის ცენტრალიზებული კატალოგიზაცია;

დ) ბიბლიოგრაფიული კადრების მომზადება და გადამზადება;

ე) ბიბლიოგრაფიული მუშაობის მეთოდოლოგიისა და მეთოდის საკითხების დამუშავება;

ვ) ბიბლიოგრაფიული ცოდნისა და წიგნთმცოდნეობის პოპულარიზაცია;

ზ) საქართველოს სსრ და მოკავშირე რესპუბლიკების პარტიული და მთავრობის ორგანოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების მომსახურება ბიბლიოგრაფიული ცნობათა მიწოდებით.

3. საქართველოს სსრ წიგნის პალატა მუშაობს სრულიად საკავშირო წიგნის პალატის საერთო ხელმძღვანელობით და ამყარებს მჭიდრო კავშირს სსრ კავშირის სამეცნიერო-ბიბლიოგრაფიულ და სხვა სამეცნიერო ორგანიზაციებთან.

### II. პალატის ფუნქციები.

4. სამეცნიერო-ბიბლიოგრაფულ დარგში საქართველოს სსრ წიგნის პალატას ეკისრება:

ა) ბეჭდვითი სიტყვის იმ ნაწარმოებთა (წიგნები, ჟურნალები, გაზეთები, გვეგები და რუქები, მუსიკალური ნოტები, სახვითი ხელოვნების ნაწარმოები და ა.შ.) სახელმწიფო ბიბლიოგრაფირება, რომლებიც საქართველოს სსრ ტერიტორიაზე გამოდის და სპეციალური ორგანოების გამოცემა ამ ბიბლიოგრაფირების შესახებ;

ბ) საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიის სახალხო მეურნეობის აღრიცხვის სამმართველოს მითითებათა შესაბამისად, საქართველოს სსრ ბეჭდვითი სიტყვის სტატისტიკის ცენტრალიზებული წარმოება და სტატისტიკური კრებულების და მონოგრაფიულ გამოკვლევათა გამოქვეყნება საქართველოს სსრ საბჭოთა ბეჭდვითი სიტყვის სტატისტიკის შესახებ;

გ) საქართველოს სსრ-ში გამოსულ ლიტერატურის, ბიბლიოგრაფიული ჟურნალების, თემატური ცნობარების, თეორიული გამოკვლევების, სასწავლო წიგნებისა და სახელმძღვანელოების ბიბლიოგრაფიულ მაჩვენებელთა გამოცემა;

დ) სტანდარტული ბარათების დაწესება და გამოცემა ბიბლიოთეკათა კატალოგებისა და საცნობარო-ბიბლიოგრაფიული ბარათებისათვის;

ე) ბიბლიოგრაფიული დოკუმენტაციისა და ცნობის ორგანიზაცია;

ვ) საქართველოს სსრ სამეცნიერო ბიბლიოთეკათა ნაკრები კატალოგებისა და იმ გამოცემათა ბიბლიოგრაფიული რეპერტუარის შედგენა, რომლებიც გამოსულია საქართველოს სსრ ტერიტორიაზე ქართულ და სხვა ენებზე წიგნის ბეჭდვის შემოღებიდან;



ზ) ბეჭდვითი სიტყვის ყველა იმ ნაწარმოების საკონტროლო ეგზემპლარების შენახვა პალატის არქივში, რომლებიც გამოსულია საქართველოს სსრ ტერიტორიაზე, როგორც გასაბჭოებამდე, ისე საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ;

თ) დადგენილი წესის დაცვით ბიბლიოგრაფიული კონფერენციებისა და თათბირების მოწვევა;

ი) ბიბლიოგრაფიის საკითხებზე სამეცნიერო-კვლევითი კომისიების მოწყობა;

კ) დადგენილი წესით, წარდგენა, ბიბლიოგრაფიის დარგში სამეცნიერო სახელწოდებისა და ხარისხის მისანიჭებლად;

ლ) ბიბლიოგრაფიის საკითხებზე სამეცნიერო მუშაკთა კადრების, აგრეთვე საშუალო კვალიფიკაციის მუშაკთა კადრების მომზადება და გადამზადება, კურსების სემინარების და სხვ. მოწყობის გზით;

მ) ბიბლიოგრაფიის იმ სახელმძღვანელოებისა და დამხმარე სახელმძღვანელოების ექსპერტიზის მოხდენა, რომლებიც საქართველოს სსრ-ში გამოდის;

ნ) კონკურსების მოწყობა და სამეცნიერო-ბიბლიოგრაფიული ნაშრომებისა და სახელმძღვანელოების დაჯილდოება;

ო) წიგნისა და ბიბლიოგრაფიული ცოდნის პროპაგანდა მკითხველთა ფართო მასებში, გამოფენებისა და ლექციების მოწყობა.

პ. საადმინისტრაციო საორგანიზაციო დარგში საქართველოს სსრ სახელმწიფო წიგნის პალატას ეკისრება:

ა) საქართველოს სსრ ტერიტორიაზე გამოსულ ბეჭდვითი სიტყვის ნაწარმოებთა ყველა იმ სავალდებულო ეგზემპლარის განაწილება ბიბლიოთეკებს შორის, რომლებსაც კანონით დადგენილი წესით მიიღებს და კონტროლის გაწევა პოლიგრაფიულ საწარმოებზე რომ მათ მიერ სრულად იქნას წარმოდგენილი სავალდებულო ეგზემპლარები;

ბ) მეთვალყურეობის გაწევა იმისათვის, რომ პოლიგრაფიულმა საწარმოებმა დაიცვან სავალდებულო ეგზემპლარების წარდგენის წესები და ამ წესების დამრღვევთა პასუხისგებაში მიცემა კანონით გათვალისწინებულ წესის მიხედვით;

გ) კონტროლის გაწევა იმისათვის, რომ გამომცემლობებმა და პოლიგრაფიულმა საწარმოებმა შეასრულონ ბეჭდვითი სიტყვის ნაწარმოებთა გამოშვებისათვის დადგენილი სტანდარტები, და იმ პირთა პასუხისგებაში მიცემა, რომლებიც ამ სტანდარტებს დაარღვევენ;

დ) ბეჭდვითი სიტყვის ნაწარმოებთა დაწესებულ რაოდენობით მიღება გამომცემლობებისაგან საზღვარგარეთულ გამოცემებზე გასაცვლელ ფონდისათვის და იმ გამოცემათა განაწილება საქართველოს სსრ ბიბლიოთეკათა შორის, რომლებსაც გაცვლის საშუალებით მიიღებს საზღვარგარეთული სამეცნიერო დაწესებულებებისაგან;

ე) დადგენილი წესით ურთიერთობის დაქვერვა საზღვარგარეთელ სამეცნიერო-ბიბლიოგრაფიულ და სხვა სამეცნიერო დაწესებულებებთან და ორგანიზაციებთან მათთან სამეცნიერო კავშირის დასამყარებლად და მათგან ბიბლიოგრაფიული და სხვა გამოცემებისა და მასალების მიღება.

### III. წიგნის პალატის ხელმძღვანელობის, მმართველობის ორგანოები და ხტრუქტურა.

6. საქართველოს სსრ სახელმწიფო წიგნის პალატის სათავეში დგას დირექტორი, რომელსაც ნაშნავს საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისარი.

დირექტორი ხელმძღვანელობს პალატის მთელ საქმიანობას, არის მისი წარმომადგენელი დაწესებულებებთან ურთიერთობაში და სდებს ხელშეკრულებებს და გარიგებებს, რომლებიც საჭიროა იმისათვის, რომ პალატამ განახორციელოს თავისი ამოცანები.

7. წიგნის პალატის დირექტორს ჰყავს მოადგილე სამეცნიერო-მეთოდური ნაწილში, რომელსაც ნიშნავს განათლების სახალხო კომისარი პალატის დირექტორის წარდგენით.

8. წიგნის პალატა შესდგება შემდეგი განყოფილებებისაგან:

- ა) სამეცნიერო-მეთოდური ნაწილი;
- ბ) სავალდებულო ეგზემპლართა გავრცელებისა და კონტროლის განყოფილება;
- გ) დოკუმენტალური ბიბლიოგრაფიის განყოფილება სტატისტიკის სექტორით;
- დ) წიგნსაცავის განყოფილება, რომელთანაც იმყოფება სადუბლეტო ფონდი;
- ე) საცნობარო-ბიბლიოგრაფიული განყოფილება კატალოგისა და საცნობარო-ბიბლიოგრაფიული ბიბლიოთეკის განყოფილებებით;
- ვ) სავამომცემლო განყოფილება დამხმარე საწარმოთა ქვეგანყოფილებით;
- ზ) საეთაშორისო გაცვლის სექტორი;
- თ) საერთო განყოფილება (ადმინისტრატიულ-სამეურნეო ნაწილი):  
სამეცნიერო და სამეცნიერო-ტექნიკურ მუშაებს დანიშნავს პალატის დირექტორი დადგენილი წესით დამტკიცებულ შტატების მიხედვით.

9. პალატის დირექტორთან, როგორც სათათბირო ორგანო, მოქმედებს პალატის საბჭო შემადგენლობით არაუმეტეს 15 კაცისა, რომელშიაც შედიან პალატის სამეცნიერო მუშაები და სხვა საბიბლიოთეკო და ბიბლიოგრაფიული დაწესებულებების მუშაკთა რიცხვიდან მოწვეული სპეციალისტები.

10. საბჭოს შემადგენლობას დაამტკიცებს საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისარი, საბჭოს თავმჯდომარედ ითვლება პალატის დირექტორი.

11. საბჭოს კომპენტენციაში შედის:

- ა) პალატის მუშაობის გეგმის წინასწარი განხილვა და მისი მოქმედების შესახებ ანგარიშის გარჩევა;
- ბ) იმ საკითხების განხილვა, რომლებსაც საბჭოში განსახილველად დააყენებს პალატის დირექტორი, და აგრეთვე იმ საკითხების რომლებსაც საბჭოს წევრები წამოაყენებენ;
- გ) პალატის საბჭოს გადაწყვეტილებანი ძალაში შედის პალატის დირექტორის მიერ მათი დამტკიცების შემდეგ.



### IV. პალატის სახსრები.

12. საქართველოს სსრ წიგნის პალატა იმყოფება სახელმწიფო ბიუჯეტზე საქართველოს სსრ განსახკომის ხარჯთაღრიცხვით.

13. გარდა სახელმწიფო ბიუჯეტით გაღებული თანხებისა, პალატას აქვს სპეციალური სახსრები, რომლებსაც ღებულობს საკუთარ გამოცემათა რეალიზაციისაგან, თავისი დამხმარე საწარმოების ექსპლოატაციისაგან, ეპიზოდური ბიბლიოგრაფიული შრომების შესრულებისათვის და სხვა შემოსავლისაგან.

14. თავისი ბიბლიოგრაფიული-საგამომცემლო საქმიანობის განსახორციელებლად პალატას აქვს საკუთარი სტამბა, სამკაზმაო სახელოსნო და სათანადო დამხმარე საწარმოები.

15. პალატა ყოველწლიურად წარუდგენს საქართველოს სსრ განსახკომს ანგარიშს თავისი საქმიანობის შესახებ.

16. პალატას აქვს იურიდიული პირის უფლება და ბეჭედი, რომელზედაც აღნიშნულია დაწესებულების სახელწოდება და გამომხატულია საქართველოს სსრ ღერბი.



ფაზი 25 კაბ.

გამომცემელი საქ. სსრ ბ. კ. ს-ის საქმ. მმართველობა 1937 წ. № 43. პ/მ. რედაქტორი ი. შალვაია

ქალაქის ფორმატი 62x94 სმ; 1 ბეჭდვ. ფურც.; 1 ბიჭდვ. ფურც. 48.500 სტამბ. ნიშანი. გადაეცა სტამბას 31/XII, ხელმოწერილია დასაბეჭდად 29/1 ტირაჟი 2.000

მთავლიტის რწმ. № 114 საქ. სსრ სახალხო კომისართა საბჭოს სტამბა შვკ. № 39.